რესტორნის არსებული შენობა მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მშრალი ხიდის მიმდებარედ. იგი ერთსართულიანია, აშენებულია აგურით. აქვს ბრტყელი გადახურვა რომელზეც უსისტემოდაა განლაგებული სხვა და სხვა სახის უსახური პერგოლები და საჩრდილობლები, ამჟამად პროექტით გათვალისწინებულია არსებულ ბრტყელ სახურავზე მანსარდული სართულის დაშენება, რაც ერთიან სისტემაში მოიყვანს მთლიან ნაგებობას; შენობის გარშემო არსებულ გამწვანებას პროექტი არ ეხება, გათვალისწინებულია მხოლოდ ტერასაზე მწვანე ნარგავების კონტეინერების განთავსება.